# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე. იგ. მუხრანსკის სახლებ-ში, ლუთის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქცია-ში, ქუთაისში: „დროება“-„ივერიის“ აგენტთან ი. ჭუმბაძის სახლზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| დროებას და „ივერიას“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროებას“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერიას“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით სტრიქონზე [illegible] კაპ., წვრილი ასოებით სტრიქონზე [illegible] კაპ.

თუ ხელმოწერა მოითხოვს, რედაქცია გამოუგზავნის და შეიძლება დაბეჭდილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზე.

ქუთაისში განცხადებებს მიიღებს „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.


## რედაქციისაგან

„დროება“-„ივერიის“ რედაქცია ბოდიშს იხდის თავის წლევანდელ ხელის-მომწერლების წინაშე, რომ დაპირებული ალბომის დარიგება დააგვიანა. ეს დაგვიანება ზოგიერთს ისეთ მიზეზებისაგან მოხდა, რომლის შეტყობა მკითხველისათვის არც საჭირო და არც საინტერესოა.

ახლა საჭიროდ ვრაცხთ მხოლოდ გამოვაცხადოთ, რომ ჩვენი ალბომი ამ ჟამად მზადდება პეტერბურღში და, ამ ქრისტიშობისთვის დამლევს თუ არა, იანვრის დამდეგს მაინც, იმედია, მოვგვიკა და იმწამსვე ჩვენს წლის ხელის-მომწერლებს დაურიგებთ.

სურათები ამ ალბომისათვის როგორც წინადაც იყო გამოცხადებული, დახატულია ჩვენის ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვრის ბ. ალ. ბერიძისგან; ეს სურათები იბეჭდება ლიტოგრაფიულად პეტერბურღის ერთს საუკეთესო ლიტოგრაფიაში. ტექსტი დაწერილია აქ, ჩვენს რედაქციაში და დაიბეჭდება პეტერბურღში სამეცნიერო აკადემიის სტამბაში.

ალბომში მოქცეულ იქნება შემდეგი სურათები: თამარ მეფე, — მეფე ირაკლი II, — შოთა რუსთველი, — ალ. ჭავჭავაძე, — მარი ბროსსე, — გელათის მონასტერი, — მცხეთის ტაძარი, — ხახულის ეკკლესია, — ლარგვისის მონასტერი, — ანის საყდარი, — ტაოს-კარი, — იშხანი, — ეოშხი, — ანის წმ. ნინო, — მანუშები ჩვენი ძველი სკულპტურისა, — ზეგანის მონასტერი, — დარიალის ხეობა და სხვა.

ტექსტში იქნება მოყვანილი სურათების ახსნა, ბიოგრაფიული და ზოგიერთი კალენდარული ცნობანი, ლექსები (სხვათა შორის თ. აკაკი წერეთლისა — „რუსთველის სურათზე“) და სხვ. და სხვ.

ალბომა, როგორც გამოცხადებული იყო, დაურიგდება მხოლოდ „დროება-ივერიის“ წლიურ ხელის-მომწერთა.

ცალკე ქალაქში ეღირება მანეთად; ქალაქს გარეშე გამომწერთათვის ექვსი აბაზი.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 9 დეკემბ. ციმბირის მდინარის ლენის ჩასართავში აპოვნეს ნამტვრევები ამერიკის გემებისა, რომელნიც 1877 წელს იყვნენ გაგზავნილი ყინულოვან ოკეანის ექსპედიციაში. ჩვენი მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ ამ ალაგას დაღუპული ხალხი აღმოაჩინოს.

## თ. დონდუკოვ-კორსაკოვის დანიშვნაზედ.

გაზეთის „ნოვოე ვრემიას“ უკანასკნელს (2072) ნომერში დაბეჭდილია სტატია კავკასიის საქმეების კარგად მცოდნე პირისა — ბ-ნი ა. ზისერმანისა, სათაურით „რეფორმები კავკასიის გამგეობისა“. დიდის სიამოვნებით წავიკითხეთ ჩვენ ეს სტატია; მომეტებულს ნაწილს იმაში გამოთქმულ მოსაზრებებს ჩვენც თანაუგრძნობთ და ამიტომ გვინდა ხსენებული სტატია ჩვენ მკითხველებსაც გავაცნოთ. სიტყვა-სიტყვით ვთარგმნით ზოგიერთ უფრო საინტერესო ალაგებს:

„შეუძლებელია ისეთი კაცის გაგზავნა კავკასიის მთავარ-მმართველად, რომელიც ამ ქვეყანას არ იცნობს: რაც უნდა ნიჭიერი და ენერგიული იყოს კაცი არ შეიძლება დიდი შეცდომები არ მოუვიდეს კავკასიის გამგეობაში, კავკასიისა, სადაც ყოველ ფეხის გადადგმაზე ახალ ტომს შეხვდებით, ახალ ენას, განსხვავებულ ჩვეულებასა და სარწმუნოებას, სხვა ჰაერს, სხვა პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობათ და სხვ.; ამას გარდა კავკასიაში განსხვავებული ადმინისტრაციაა და სასამართლო წესები. მთავარ-მმართებელს იმდენი დრო არ ექნება, რომ ახლად დაიწყოს ყველა ამის გაცნობა: გამოჩნდება თუ არა ის თავის სამზღვარზე, იმ წამსვე ათას თხოვნას მიიღებს, ათას მოხსენებას, უანგარიშო საგნები წარმოუდგება განსახილველად და გარდასაწყვეტად. და ყველა ამას როგორ მოასწრობს, თუ ადრე არა აქვს ეს ქვეყანა გაცნობილი?

თ. ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვმა კავკასიაში დაიწყო სამსახური; პირველად ის იყო დანიშნული (1842 წ.) მთავარ-მმართებლის ღენ. ნეიდგარტის ადიუტანტად. ამ წოდებითვე მსახურებდა ის კავკასიისათვის დაუვიწყარ თ. მ. ს. ვორონცოვთანაც; ყველა იმის მოქმედებაში მონაწილეობას იღებდა, იმის ნამდვილი თანაშემწე იყო; სადაც კი თ. ვორონცოვი წავიდოდა, ყველგან იმას იახლებდა, ყველა ომებში იმასთან ერთად დასწრებულა, და ამ ნაირად თ. დონდუკოვი, უეჭველია, კარგად გაიცნობდა ამ ქვეყანას, იმის მოთხოვნილებას, საჭიროებასა და გამოჩენილ პირთ. შემდეგ თ. დონდუკოვი ნიჟეგოროდის დრაგუნის პოლკის კამანდირად იყო დანიშნული და ამ პოლკით მიიღო მონაწილეობა 1853—1856 წ. ოსმალეთთან ბრძოლაში. ღენერალ-მაიორის ჩინი ჰქონდა, როდესაც იმან მიატოვა კავკასია და დაინიშნა დონის ჯარის უფროსად.

„ამ ნაირად თხუთმეტი წელიწადი გაატარა იმან კავკასიაში და ამ ხნის განმავალობაში დაახლოებით გაიცნო ის მხარე, რომლის გამგებელად ახლა ინიშნება; უეჭველია, იქაც, კავკასიაშიაც ბევრს ახსოვს თ. დონდუკოვი და ადგილობრივ მცხოვრებთა საუკეთესო წარმომადგენელნი იცნობენ იმას.

„თუ ყველა ამას დავუმატებთ იმ გამოცდილებას, რომელიც თ. დონდუკოვმა შეიძინა შემდეგ კიევში, ბოლგარიაში და ოდესსაში, თუ ამასთანავე მივიღებთ მხედველობაში იმის სხვა ღირსებითაც, შეიძლება მიულოცოთ კავკასიას იმის ბედის გამგებლად ამისთანა კაცის დანიშვნა.

„მაგრამ თ. დონდუკოვ-კორსაკოვი დიდის შრომისათვის უნდა ემზადებოდეს. კავკასიას ძირითადი და დაუყოვნებელი რეფორმები ეჭირება. დიდი ხანია დრო ჩამოერთვა კავკასიას უცნობ, განაპირის ქვეყნის სახელი, ისეთის ქვეყნისა, რომელსაც რუსეთთან, გარდა იმისა რომ ჩვენს მილიონებსა და ჯარებს ვაგზავნით იქ, თითქმის არავითარი კავშირი არა აქვს. 1831 წელს იმპერატორმა ნიკოლოზმა, როცა ბარონ როზენი დანიშნა კავკასიის მთავარ-მმართებლად შემდეგი სიტყვები მისწერა იმას:

„— ჩვენი მიზანი კავკასიაში ის არის, რომ უშიშარი სამზღვრები შევიძინოთ აზიის მეზობლების მხრით და ამასთანავე საშუალება ხალხის ვაჭრობისა და წარმოებისა. არაქსის

---

## «დროების» ფელეტონი, 11 დეკემბ.

### თამარ

სპარსული ლეგენდა

(თარგმანი *)

I

ბაქო თავისი თეთრი სახლებით და შავი ციხეებით, რომელიც პარსის წმინდა ადგილად ითვლებოდა, ეხლა მომაკვდავი ქალაქის სურათს წარმოადგენს. ქუჩები აოხრებულია. ადამიანის ძეს ვერ დაინახავს იქ კაცი. ხანდისხან შორიდამ მოისმის რაღაც ხმაურობა; რაღაც საშინელი შავი ბოლი ადის მშვენიერ მოწმენდილ ჰაერში; ზარბაზნებით მოგლეჯილი ქვები ცვივა ქუჩებში.

ოთხმოცი დღეა, რაც ნურ-მედდინი, სპარსეთის შაჰი თავისი ჯარით შემორტყმია ქალაქს და ცდილობს თავის მამა-პაპური ქალაქის დასაკუთრებას; იმან დაიფიცა: ან ავიღებ, ან სრულებით დავანგრევ ბაქოსო. შიმშილმა და წყურვილმა შეაწუხა, დახოცა ხალხი. ზოგჯერ გამოჩნდება ხოლმე რამდენიმე კაცი შიმშილისაგან დაუძლურებული; წყურვილისაგან გაშავებული ენა სასაზე მიჰკვრიათ. მარტო სალდათები, რომელთაც უკანასკნელი დარჩენილი სასმელ-საჭმელი გაათავეს, მიდიან დიდის უსიამოვნობით წინ, რადგან სარჩოს გარდა თოფის წამალიც შემოაკლდათ.

ზოგნი თავიანთ სალოცავებში შეკრებილან და თავიანთ გაუქრობელ წმინდა ცეცხლის წინ დგანან და ლოცულობენ. მარტო ეს წმინდა ცეცხლია ამათი უბედურების მოწამე და ნუგეში.

ხალხი აღელვებულია და თხოულობს, ქალაქი დაუთმოთ ნურ-მედდინს და დავემორჩილოთო.

პარსები გაჩუმებული არიან, რადგან მათი უფროსი ძირვანი ხმას არ იღებს და დამშვიდებული, მწარე ღიმილით უყურებს ხალხს.

— დავემორჩილოთ! დავემორჩილოთ! ჰყვირის აღელვებული და ილაჯ-გაწყვეტილი ხალხი.

— გავუღოთ ქალაქის კარები და შემოვუშვათ მტერი! ხვალ გვიანღა იქნება!

ბოლოს ძირვანმა ამოიღო ხმა და სთქვა:

— ხვალ ნურ-მედდინი მოკვდება!

ხალხი გაკვირვებით შეაჩერდა ძირვანს და ყველას პირიდამ მარტო ერთი კითხვა წარმოითქვა:

— ვინ მოჰკლავს ნურ-მედდინს? ვინ განგვათავისუფლებს იმისგან?

ძირვანმა უპასუხა:

— ვინ განგვათავისუფლებს იმისგან? — ქალი!

ხალხმა დაიწყო ბუტბუტი; არა სჯეროდა. გაბრაზებული მივარდნენ და უნდოდათ სალოცავი დაენგრიათ. მაგრამ ძირვანმა ანიშნა და მთელი ხალხი გაჰყვა მას.

ამ დროს ბნელის სალოცავიდამ გამოვიდა ერთი ქალი. ეს იყო მშვენიერი და ყმაწვილი. იმის შავს ბწყინვალე დიდრონ თვალებში გამოიხატებოდა გმირობა. მშვენიერი გრძელი თმები მხრებზე ეყარა, ტანი ალვის ხეს მიუგვანდა.

ხალხი აღტაცებაში მოვიდა; დაავიწყდათ შიმშილიც და რაც უბედურება გადახდათ თავზე.

*) „La Nouvelle Revue“, 1 დეკემბრის 1881 წ.

ნაპირამდინ სამზღვრის გადატანამ და აბხაზეთისა და მთის ხალხების დამორჩილებამ ორივე მხრით დაგვაიმედა. ამის გამო ახლა ყოველს ჩვენს განკარგულებასა და სურვილს კავკასიაში ის მიზანი უნდა ჰქონდეს, რომ ერთხელვე შეძენილი დავიმკვიდროთ, დავამშვიდობოთ თითქმის ველური ხალხები, თან-და-თან შევაჩვიოთ ისინი სამოქალაქო გამგეობას, იმათთვისა და ჩვენ სასარგებლოდაც გავავრცელოდ იქ ვაჭრობა და წარმოება, ასე რომ მომავალში იმათ თავის საკუთარი სარგებლობა და საჭიროება აერთებდეს, აკავშირებდეს ჩვენთან და არა ძალ-დატანება, რომ ჩვენსა და იმათ შუა დამოკიდებულებაში მალადობით დაპყრობის კვალი არა ჩნდეს".

„ნახევარი საუკუნეა მას აქედ, რაც იმპერატორმა ნიკოლოზმა ეს სიტყვები თქვა; მაგრამ რას ვხედავთ ახლა ჩვენ კავკასიაში? ყველაფერი, რაც ძალით ასაღები და შესაძენი იყო, ყველა შევიძინეთ, გადავაჭარბეთ კიდეცა, თუმცა დიდის მსხვერპლითა. ბათუმისა და ყარსის შეძენის შემდეგ ჩვენი სამზღვრები საკმაოდ დაცულია; მთიულები დავიმორჩილეთ ანუ გავრეკეთ. დანარჩენი-კი, რაც ყველაზე უფრო სასურველი იყო ჩვენთვის, ახლაც ისევ სანატრელად რჩება, იმავ მდგომარეობაში, როგორც წინად იყო.

„რატომ? აი ამ კითხვის, ამ შეუსრულებელ ცვლილებათა შესრულება შეადგენს, ჩვენის აზრით, უმთავრეს მოვალეობას კავკასიის ახალ მთავარმმართებლისას. მხოლოდ ყველა ახალ დაწყებულ საქმეებისა და რეფორმების შემოღების დროს უნდა გვახსოვდეს შემდეგი: რომ . . . . . . . . . . .

ღმერთმა ინებოს, რომ ეს მოლოდინი და ნატვრა ბ. ზისერმანისა ბეჯითად და კეთილად შესრულებულიყოს.

## ახალი ამბები.

კარლა სერენას ქალი, რომელიც ამას წინად მოგზაურობდა ჩვენში, რომელმანც ხელ-მეორედ დაიარა კახეთისა და აბხაზეთის ზოგიერთი კუთხეები, ამ ჟამად ვენაში წავიდა, სადაც ამ თვის 22-ს გეოგრაფიულ კონგრესს უნდა დაესწროს და სხვათა შორის, თავის კავკასიაში მოგზაურობაზედაც უნდა ილაპარაკოს.

ევროპაში დაბრუნების წინად კარლა სერენამ შემოიარა ჩვენს რედაქციაში და გვთხოვა იმის სახელობით გამოუცხადოთ მადლობა იმ პირთ, რომელთაც ის დიდის პატივისცემითა და თავაზით მიიღეს კახეთში და აბხაზეთში და ხელი მოუმართეს ყველაფერში, რაც კი ეჭირებოდა. ამ პატივცემულ მოგზაურმა ქალმა გვიამბო ჩვენ ერთი ამბავი, რომელიც ჩვენს განთქმულ სტუმართ-მოყვარეობასთან როგორღაც არ თავსდება: შუაღამეზე დალალულ-დაქანცული და სიცივისაგან შეწუხებული მივადექი, კახეთში მოგზაურობის დროს, სოფ. ბურჯაანის ერთს თავადიშვილს (ა-ლს) და შინ არ მიმიღოვო, იძულებული ვიყავი გამეგრძო გზა ამ საშინელ სიცივეში და ღამეო. საზოგადოდ კი კარლა სერენა კახეთსა და საზოგადოდ ჩვენს ქვეყანას ძლიერ აქებს ბუნებითი სიმდიდრითა და ხალხის გულ-კეთილობით...

* * *

პეტერბურღის გეოგრაფიულ საზოგადოებაში პროფესორებს მაიკოვს, ანუჩინს და მილლერს ულაპარაკნიათ კავკასიის შესწავლის საჭიროებაზე ეთნოგრაფიულის და არხეოლოგიურის მხრით. განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიექცეს კავკასიის მთიულების ზნეს, ხასიათს, ჩვეულებას და საზოგადოდ ხასიათსაო. რადგან ამ მხრით ეს ხალხები სრულებით არ არიან შესწავლულნიო.

* * *

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინად მოხსენებული, რომ ხარაგაულის სოფლის სკოლა უპატრონოდ არისო მიგდებული, რადგან ადგილობრივი მასწავლებელი სხვაგან გადაიყვანეს და მაგიერი თითქმის ორის თვის განმავლობაში არავინ დაუნიშნავთო. ახლა გვატყობინებენ, რომ ხსენებულს სკოლაში მასწავლებელი უკვე დაუნიშნავთ და ამ ჟამად სამოცზე მეტი შაგირდი დაიარება სკოლაშიო.

* * *

ბათუმიდამ გვატყობინებენ, რომ გასულ ნოემბრის 29-ს იქ მდგომ ბურიის დრუჟინას ჩაუბარებია ხელმწიფე იმპერატორისაგან ნაბოძები ჯილდო გასულ ომიანობაში მონაწილეობის მიღებისათვის—წმ. გიორგის ბაირაღი. დიდ ძალი ხალხი დასწრებია ამ დროს და ხსენებულ დრუჟინის კამანდირს პოლკოვნიკს თ. ნიჟარაძეს უთქვამს დრუჟინისთვის სიტყვა, რომელშიაც აუხსნია—თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ბაირაღს და როგორ უნდა აფასებდნენ ისინი ხელმწიფის წყალობასა. დრუჟინის კამანდირს მოსვლია დ. მ. მიხეილ ნიკოლოზის ძის ტელეგრამმა, რომელშიაც ულოცავს ამ სამხედრო ჯილდოს დამსახურებას.

* * *

შემდეგ ახირებულ ამბავს გვწერენ კახეთიდამ:

„კახეთიდგან თფილისში მოვდიოდი. მუკუზნის სტანციიდგან მოველ ფოშტის ცხენებით სიღნაღში. ჩემზედ ცოტა ადრე გამოსულიყო სიღნაღიდგან იქაური პირველი მდიდარი მოქალაქე ა. ლ. ა—ვი და როდესაც გამოევლო ფშის ბოგირი, დაენახა ერთი ღორი წყალს ახლო ტყეში; მონდომებოდა ღორის ტკბილი ხორცი, გადმოეღო ტროიკიდგან თოფი, მოეკლა, ჩაეგდო პოვოზკაში და წამოსულიყო კვეხნით, ღორი მოვკალიო!

„მე რო გამოვიარე, იმ ნავაჟკაცარ ალაგზედ იდგა ერთი კაცი დაკონკილის ტანისამოსით და ყვიროდა: დაველუპეო. დავაყენებინე იამშჩიკს ტროიკა და ვკითხე იმ კაცს მიზეზი ჩივილის და ყვირილისა; იმან არც აილო, არც დაილო და უშველის პირით დამიწყო გინება: თქვე ასითისეთებო, რამდენმაც გაიაროთ მაგ პოლოსკებით, ღორები უნდა დახოცოთო! გამოვკითხე ანბავი და მიპასუხა, წყალზედ ღორი ჩამოვრეკე და როცა გავრეკე, ერთი აქ დამრჩენოდა და ვიღაცა სომეხს მოუკლავს და წაუღიაო, ვერ დავეწევი და აბა ღორის პატრონს რა პასუხი მივცეო!

„დავანებე იმის ლაპარაკს თავი და წამოველ ქალაქისაკენ; აზანბურის სტანციაში ვნახე სიღნაღის მოქალაქენი ს—ები და მათ მითხრეს ა. ა—ვს გზაზედ ღორი მოეკლა და ჯიგარი აქ ამოართო და შეწვაო.

„ამ ა—ვს შეუძლიან მთელის სიღნაღის შესყიდვა და თუ იმან ჩაიდინა ამ გვარი საქმე, სხვას რაღა მოეკითხება. ამ გვარი შემთხვევები ხშირად ხდება ჩვენს გზაზე, მაგრამ ყურს არავინ უგდებს“.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ზუგდიდის მაზრიდამ, 2 დეკემბერს. ს. წალენჯიხა ზუგდიდიდამ გახლავთ ოც-და-ხუთი ვერსის მანძილზე. ერთი წელიწადია, რაც აქ განაწესეს ერთი ვიღაც რუსი მომრიგებელ მოსამართლედ.

გულმა არ მომითმინა, რომ ხელი არ მიმეყო ჩემს სუსტ კალამზე და არ დამეჯღაბნა ქაღალდზე გულმტკივანთ ხალხის მდგომარეობა ამ ერთის წლის განმავლობაში, ამისათვის გთხოვ ბატ. რედაქტორო ამ ჩემს წერილს მისცეთ ალაგი უმახლობელს პატივცემულ გაზეთ „დროების“ ნომერში და თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ იმაზე თუ რა შეწუხებაში არის თითქმის ნახევარი მაზრის ხალხი.

ს. წალენჯიხიდამ შემავალნი ამა უჩასტკისა მცხოვრებნი სცხოვრობენ 25-დამ 30 ვერსტამდე. საქმისა გამო

---

ქალი მიუახლოვდა ქირვანს და დაიჩოქა იმის წინ.

ქირვანმა უთხრა:

— თამარ, მოვიდა დრო. შენი ძმები, მამა-შენი და შენი საქმრო ნურ-ედდინის სალდათების ხელით დაიხოცნენ. დედა-შენი ნაღვლით მოკვდა... შენი სამშობლოც იღუპება... ჩვენ ამოვირჩიეთ შენ სამშობლოს განსათავისუფლებლად.—გინდა? გინდა, რომ მკვდრების ჯავრი ამოიყარო და ცოცხლები გაანთავისუფლო?

ბევრი ღამეები გაეთენებინა თამარს ამის ფიქრში. ბევრი ისტორიული ამბები გაეგო, რომელთაც ცეცხლი აენთოთ მის გულში.

ცოტა ფიქრის შემდეგ მან უპასუხა:

— რასაკვირველია, მინდა!

— თამარ, გინდა, რომ შენი სამშობლოს დასახსნელად და ხალხის განსათავისუფლებლად შესწირო შენი ყმაწვილ-ქალობა, შენი სიმშვენიერე სიცოცხლე და ისიც, რაც სიცოცხლეზედაც უფრო ძვირფასია—შენი უმანკოება?

— მინდა! უპასუხა თამარმა.

— მაშ ადექ და გასწიე გამარჯვებულ ნურ-ედდინისკენ.

— წავალ, სთქვა მამაცურად თამარმა, ავასრულებ სულ ყველას, რაც გადავწყვიტე და რაც შენ მიბრძანე. მე მოვკლამ იმ კაცს.

წამოხტა მამაცურად. იმის მშვენიერი თვალები მრისხანედ იყურებოდნენ; ცხვირის ნესტოები გაებერა. ერთი-ორად უფრო მშვენიერად ჩანდა ის ამ სახით.

ხალხი თაყვანის-ცემით უყვიროდა: —წადი, წადი! გვიშველე!

თამარმა ერთი უკანასკნელად გადახედა ხალხს და ქირვანს, და დაადგა გზას.

გაიარა ქალაქი, გაალო კარები და გასწია ნურ-ედდინის ჯარის ბანაკისაკენ.

### II

ღამდება. უკანასკნელი დღის შუქი მოჩანს დასავლეთიდამ და ანათებს ზღვას.

თამარი მიდის მარჯვნივ. იმას ეს მოკლე გზა გრძლად ეჩვენება. ერთბაშად მაღალ მთებიდამ ამობრწყინდა მთვარე და გაუნათა გზა.

მიიხედ-მოიხედა და ვაი იმ სანახავს, რაც იმან ნახა. მინდორში გარშემო ეყარა მოკლული იმისი თანამემამულენი. იმას ეგონა, რომ ეს მკვდრები წამოდგებიან და ეცემიან. რაღაც ჩურჩული მოესმა... წარმოუდგა თვალ წინ თავის საყვარელი მამა, საქმრო, ძმები, რომელნიც თითქოს შესცქეროდნენ და ეუბნებოდნენ:

— წადი! გაანთავისუფლე შენი სამშობლო და ხალხი!

შიშით საბრალო თამარს მუხლები ეკვეთებოდა. უნდოდა დაბრუნებულიყო; მაგრამ რაღაც ძალამ შეიმაგრა.

— არა! უნდა შევასრულო ჩემი მოვალეობა!

დახუჭა თვალები და ნელ-ნელა გასწია. თან-და-თან მამულის სიყვარული ეღვიძებოდა გულში და ეს ამაგრებდა, ამხნევებდა. იმას წარმოუდგა ნურ-ედდინი საშინელ კაცად, თავის ქვეყნის მტრად და ეს კაცი უნდა მოეკლა.

გაახილა თვალები; რაღაც საშინელი ხმაურობა მოესმა. ვიღამაც მოავლო იმას მაგრად ხელი და ნურ-ედდინის ბანაკისაკენ წაიყვანა.

### III

ნურ-ედდინი მოსვენებით წამოწოლილია აბრეშუმით და ოქროთ მოქარგულ ბალიშებზე ძვირ-ფას ტანისამოსში. იმის ფეხებთან სხედან მისი ცოლები. სახლი განათებულია. გარშემო სხედან მეზურნეები, მექიანუ-

ამათ იბარებენ უწყებით ცხრა საათზე დილით; თვითონ მომრიგებელი მოსამართლე არ იწყებს საქმის გარჩევას ნაშუადღევის პირველ საათამდე; სხვა კანცელარიის მოსამსახურე პირები კი ერთი საათით წინ გამოცხადდებიან სასამართლოში, ე. ი. თორმეტ საათზე და მაშინაც მთხოვნელებს ურისხდებიან, ასე ადრე რად მოდიხართო. საქმის განრჩევის გათავებამდი, რვა-ცხრა საათზე ნაშუადღევისას, მრავალს მწუხარებას და მხიარულებასაც გამოიარს კანცელარიაში მყოფი კაცი. ბ. მომრიგებელ-მოსამართლე თითოეული მოწმის შემდეგ შებრძანდება საკუთარ სადგომ ოთახში (ცოლ-შვილით უჭირავს ორი თუ სამი კანცელარიის ოთახი) ხუთ-ხუთი მინუტის ვადით, მაგრამ ხშირად ნახევარ საათამდინაც გასწევს ხოლმე და იქიდამ მოისმის: სიმღერა გარმონიის ხმა, ტაში, ტანცაობა, შემდეგ ამ მხიარულებისა კივილ-ჩხივილი ბავშვებისა და ხშირად უსიამოვნო ხმაც უფროსებისა. ამ გვარი ქცევა შიგ კანცელარიაში და მოურიდებლობა ხალხისა, მსაჯულის მხრით ახდენს საზოგადოებაში ცუდს შთაბეჭდილებას.

ეხლა რას მიბრძანებთ იმ პირებზე რომლებიც 30 ვერსის სიშორიდამ დაბარებულნი გამოცხადებულან და ისტუმრებენ ნაშუადღევის ცხრა საათზე? ვისაც მახლობლად ჰყავთ მეგობრები, ისინი რჩებიან და ელოდებიან განთიადს, ხოლო ვისაც არა, ღონე არ არის, უნდა წავიდეს, მაგრამ გზაზე კი ხშირად ხდებიან მსხვერპლად ავაზაკებისა.

ზემო-თქმული შემთხვევები შეიძლება სხვა მიროვის უჩასტკებშიაც ხდებოდეს; მაგრამ არ შევხვედრივარ და არც გამიგონია, რომ, მსაჯულის საკუთარის საქმისა გამო, კანცელარიის კარები თუთხმეტი დღე დაკეტილი ყოფილიყოს და დაბარებული ხალხი ხელებ დაკრეფილნი საქმის განუხილველად ისევ უკან დაბრუნებულიყვნენ. მიზეზი ამ გარემოებისა ეს გახლავთ: ბატონ უჩასტკის მმართველს და ამავე უჩასტკის გამომძიებელს მოსვლიათ ურთი-ერთ შორის უთანხმოება იმის თაობაზედ, რომ გამომძიებელმა ბ. ბაზორკინმა დაუცალოს მას კანცელარიის ოთახი, რომელშიაც ის ბინადრობს. ამაზე უკანასკნელი არ დათანხმდა და მისახწევად მისის გულის წადილისა ბ. მოსამართლე დაბრძანდება მუთაისს, რა მოგახსენოთ ვისთან, რომ გამოაგდოს უკანასკნელი ოთახიდამ. ე დალოცვილს მარტო-ხელი ჩინოვნიკის ბინადრობა ერთ ოთახში რად ეჯავრება, მაშინ როდესაც თითონ ცოლ-შვილით, ყოველივე შინაური ცხოველებით და ფრინველებით სცხოვრობს კანცელარიის ოთახებში და კაცი ხმას არა სცემს! ზულადი მოსამართლე გვყავს, არც უმაღლესი მართებლობის ეშინიან და არც საზოგადოების მორიდება აქვს.

ვიმედოვნებთ და გულითად ვისურვებთ, რომ მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას ვისდამი ჯერ იყოს, რათა მალე მოეღოს ბოლო და მითი შემსუბუქდეს გულ-დაჩაგრული საზოგადოების მდგომარეობა.

სამსონ თოლარაია.

# უცხოეთი

(გაზეთებიდან)

**საფრანგეთი.** რადიკალური გაზეთები არ არიან მაინცა-და-მაინც კმაყოფილნი გრაფ შოდორდის დანიშვნით პეტერბურღში საფრანგეთის ელჩად, რადგანაც მას ჰქონდაო დამოკიდებულება გერცოგ დეკაზთან, რომელიც სცდილობდა რუსეთთან პოლიტიკურად დაახლოვებასა. გრაფ შოდორდი მუდამ ზომიერ მონარხიელთ დასს ეკუთვნოდა, ორლეანის პრინცთა მომხრეთ და მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში მიეკედლა გამბეტას დასსო. საზოგადოდ ადრინდელი კონსერვატორები თან-და-თან უახლოვდებიან ეხლანდელ სამინისტროს და ბევრმა შენიშნა ის აშკარა განსხვავება გამბეტას თითქმის დამარცხებასა დეპუტატთა პალატაში და გამარჯვებასა შუა სენატში მაშინ, როდესაც პალატაში ერთობ ცივად მოეპყრნენ გამბეტას დეპუტატ რიბოსთან ბაასის დროს, ორი ახალის სამინისტროს შედგენის გამო, სენატში უმეტესობა თანაგრძნობით უსმენდა მას, და თვით გამბეტამაც თავის სიტყვაში დიდი ქება შეასხა სახელმწიფო პირთა, მჯდომარეთა უმაღლესს პალატაში.

—

**ინგლისი.** ირლანდიაში მოძრაობა თან-და-თან ძლიერდება. დღითი-დღე მატულობს უკმაყოფილოთა რიცხვი და ამის გამო დატუსაღებულთა რიცხვიც. რამოდენიმე მეიჯარადრეთ გარდაწყვიტეს, არ იხადონ არავითარი იჯარები, სანამ ყველა დატუსაღებულთ არ განათავისუფლებენ. ირლანდიაში გამოდის პროკლამაციები, რომელშიაც ემუქრებიან სიკვდილით, ვინც კი იჯარას გარდიხდის. ერთმა კრებამ კორკში დაადგინა ეთხოვოს მმართებლობას პარნელისა და დანარჩენთ დატუსაღებულთ განთავისუფლება.

—

**ავსტრია.** ბერლინის ტრაქტატით ავსტრიასთან შეერთებული მხარეები, ბოსნია და ჰერცოგოვინა, დიდს უკმაყოფილებას აცხადებენ ავსტრიაზედ, სხვა და სხვა შემავიწროებელ სამოქალაქო და სამხედრო წესების შემოღების გამო. მაჰმადიანთა და ქრისტიანეთა შორის სრული თანხმობაა, და ამათ გარდაწყვეტილიც აქვთ, რომ, ვინიცობაა, ავსტრიამ ეს ამათი შევიწროება გააგრძელოს ან კიდე დაჰსძინოს მას ახალი შევიწროება, გაიქცნენ მთებში და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან თავი, იბრძოლონ. ამ არეულობას დიდი არა უკლია რა. ერთი მხოლოდ ნიშანი საჭიროა კიდე ავსტრიასაგან. რაღას იტყვის ევროპა, როდესაც ხელ-ახლად შეიქნება ადამიანის ქლეტა, სისხლის ნთხევა [illegible] მხარეებში, რომელ[illegible] ერთ მტარვალს გამოჰგლიჯა ხელიდამ — ოსმალეთს, და მეორეს ჩაუგდო — ავსტრიას.

## ბიბლი-გრაფიული შენიშვნა.

ეხლა ხანს ნემეცურიდამ ერთმა რუსის ქალმა მ. ი. მერცალოვისამ გადმოთარგმნა, რუსულად შესანიშნავი თხზულება შვეიგერ-ლერენფელდისა; „დედა კაცი, მისი ცხოვრება, ზნე და მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა ყველა ხალხებში მთელს დედა მიწაზე.“

წიგნი არის ერთი დიდი ტომი 688, გვერდი მშვენიერ ქაღალდზე აღბეჭდილი, შეიცავს 209 ნახატს (დედაკაცთა სქესის ტიპებზე.)

ამ წიგნში არის აღწერილი, როგორც სათაურიც გვიჩვენებს, დედა კაცის მდგომარეობა ყველა ტომის ხალხებში.

ავტორს პირველი ადგილი მიუცია ქართველ ქალისათვის. იმისი აზრით ქართველი (კაცი და ქალი) არის წარმომადგენელი, უმშვენიერესი ტიპი მთელის დედა-მიწის ხალხებისა. ამ წარმომადგენლობაში წილი აქვთ ჩერქესებსაც. ამიტომაც პირველი ადგილი ყველა ხალხებ შორის უნდა ეკავოს ქართველს, მეორე ჩერქესელსო.

ავტორის აზრით, რამდენადაც შორს სცხოვრობს რომელიმე ხალხი ქართველებზე, იმდენად იქ საზოგადო ტიპი ადამიანთა გაფუჭებულია და დამახინჯებული, პირიქით, რამდენადაც ახლო, იმდენად უფრო მეტად წააგავს ამ ტიპს.

ქართველების მეზობლად სცხოვრობენ ჩერქესელები, ოსები, აფხაზები, სომხები, ქურთები, ლეკები; ამ ხალხების ტიპები უფრო შნოიანია, ლამაზი, ვინემ რუსებისა, ნემცებისა, ოსმალოებისა, სპარსელებისა, მონგოლებისა; ამათი ტიპები კიდე უფრო მეტად ჰგვანან ქართველთა

---

რეები. ერთი ქალი უკრავს დაირას, მეორე ახალგაზდა ქალი თარს უკრავს, შუაში კავკასიურად თამაშობენ.

ნურ-ედდინს, გაბრუებულს ამდენი სიამოვნებით, მიეძინა. სიზმარში ნახა, რომ თითქოს იმისკენ მოდის ვიღაც მშვენიერი ფერ-მკრთალი ქალი, რომლის ალისფერი ტუჩები იმას დაეკონენ და ნურ-ედდინმა იგრძნო კოცნა...

ამ საამო სიზმარიდამ გამოაღვიძა ზურნამ. წამოხტა აღელვებული, გადისვა შუბლზე ხელი, რომ დაევიწყნა ეს სიზმარი; მაგრამ იმის თვალ-წინ წარმოსდგა ის სიზმარში ნანახი მშვენიერი ქალი...

ზურნა გაჩუმდა. მოთამაშები დადგნენ. შაჰის ცოლები ცნობის მოყვარეობით უყურებენ ამ მშვენიერ ფერ-მკრთალ ქალს. სალდათებმა აუხსნეს შაჰს, რომ ეს ქალი დაიჭირეს მინდორში და როცა ჰკითხეს, თუ რისთვის მოდიოდა, და ვინ უნდოდა, მან მარტო ერთი პასუხი მოგვცაო:

— ნურ-ედდინი!

შაჰმა ანიშნა სალდათებს; ამათ იმ წამსვე გაუშვეს თამარს ხელი.

— აი მეფეთ-მეფე! დაიჩოქე და ელაპარაკე: რა გინდა?

IV

თამარმა ჩაღუნა თავი და ვერ ბედავდა შაჰის პირ-და-პირი შეხედვას... ბოლოს ერთბაშად წაიწია წინ, დაიჩოქა და უთხრა:

— გთხოვთ დამიცვათ, გამოვიქეცი მარტოთ-მარტო შორიდამ... წმინდა ბაქოდამ... დამიხსენით, დამიხსენით... მე ვარ თქვენი მონა.

— მოდი ახლოს. ნუ გეშინიან.

ის ხმა, რომელმაც წარმოსთქვა ეს უკანასკნელი სიტყვები, თამარს ძალიან ალერსიანი და სასიამოვნო ხმად ეჩვენა. სულ სხვანაირად ჰქონდა იმას წარმოდგენილი ნურ-ედდინი და ძალიან გაუკვირდა, ფიქრობდა:— განა მართლა ეს არის ის ბარბაროსი, რომელიც აწუხებს ჩვენ წმინდა ბაქოს?

იმას წარმოუდგა ნურ-ედდინი ახალგაზრდა ლამაზ კაცად, ალერსიანის თვალებით. იმის სახეს და შუბლს ეტყობოდა, რომ არ ენახა თავის სიცოცხლეში დარდი და ნაღველი.

აი, ამ გვარი იყო ბაქოს ამაოხრებელი კაცი, რომელმაც არ იცოდა შეცოდება არც მოხუცისა, არც ბავშვისა და არც დედა-კაცისა.

თამარი გაჩუმდა.

ნურ-ედინმა სთქვა:

— მე შეუბრალებელი ვარ ჩემს მოწინააღმდეგებთან და ძალიან გულკეთილი მონასთან. მითხარი შენი სახელი და მაჩვენე სახე...

თამარმა თავის სახელი უთხრა, მოიხადა პირ-ბადე და უჩვენა პირისახე.

ნურ-ედდინს ამის დანახვაზე თვალები დაუბნელდა.

მისი ცოლები ძალიან გაჯავრებული იყურებოდნენ; იმათ თვალებში ეჭვიანობა იყო გამოსახული.

— რა უნდა ამ ბარბაროს ქალს? უბრძანე, ნურ-ედდინ, რომ საპყრობილეში ჩასვან.

ნურ-ედინმა ხმა არ გასცა, შეხედა გაჯავრებული და უბრძანა, რომ გარეთ გასულიყვნენ. სულ ყველანი წამოდგნენ და გავიდნენ.

თამარი და ნურ-ედდინ დარჩნენ მარტო ოთახში.

(დასასრული ხვალ).

ტიპს, ვინემ ველური აფრიკის, ავსტრალიის, ამერიკის ზანგებისა და სხვა ბარბაროს ხალხებისა.

ზოვიერთი ამ ხალხების ტიპები იმდენად არიან დაშორებულნი ქართველ ტომზე, რომ იმათი წარმომადგენელი უფრო მეტად ჰგავს მაიმუნს (შიმპანზეს), მინემ ქართველს. ზამოჩენილი დარვინი და მისი მიმდევნი ამტკიცებენ, რომ ადამიანის დედანი არის მაიმუნიო და, მაშასადამე, ზანგები უფრო დაახლოვებულნი წარმომადგენელნი არიან პირველ კაცმაიმუნისაო. ეს აზრი აშკარად მტკიცდება ლერხენფელდის სურათებით.

მაგ. გასინჯეთ საზიზღარი სურათი ჰოტენტოტის ქალისა, პაფრებისა (ესენი აფრიკელები არიან), ზაზონიელისა, სიამელისა, მაორელისა, (ახალი - ზელანდიიდამ — ავსტრალია,) მიტიელისა, (ჩრდ. აფრიკდგან) და სხ., და დარწმუნდებით, რომ ლერხენფელდის აზრი არის უტყუარი ჭეშმარიტება.

ძალიან კარგი და სასარგებლო იქნება ჩვენთვის, რომ ვინმე შეუდგებოდეს ამ წიგნის თარგმნას და ქართველ ქალზე ცნობების შემსებას. აგრეთვე უეჭველად საჭიროა, რომ ტიპი, ქართველ, ქალისა, რომელიც გამოხატულია ამ წიგნში, შესწორდეს. ქართველი ქალი აქ გაცილებით უნოდ არის გამოატული, ვინემ ის ნამდვილად არის.

დროა, რომ ჩვენც ვიცოდეთ ქალის ავ-ზნეობა, მისი ძალ-ღონე, ხასიათები და ისტორიული მნიშვნელობა, რადგან „ხალხნი ეცემიან და ამაღლდებიან ხოლმე ქალებთან ერთად; ქალნი არიან ბურჯნი ხალხოსნობის ისტორიაში.“ (ლერხენფელდი.)

წიგნის ფასი თფილისში 5 მ. 50 კ.

მოსე ჯანაშვილი.

თბილისი,
9 დეკემბერს.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ


დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი დავით იაკობის-ძე ავალოვი აცხადებს, რომ ამ თვის 6-დამ, მომავალი წლისა, გაისყიდება მის სკლადში ავჭალის ქუჩაზედ, სახლ. № 59, ახალ-გაზდა დასარგავი ხეები, უარაიაზის მამულიდამ, რომელიც იჯარით აქვს მას ალებული კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისაგან. ეს მამული ადრე ჰქონდა იჯარით ილიაშევიჩს და შემდეგ სულინის ქალს. სკლადი ღიაა დილის 8 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—2)

ზრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ზ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

# ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

25% ნაკლებ მინამ სხვა ალაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, განები, ქამრები, საყელოურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ. იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან, ჩოკ-ბორ (*choke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—45)

ᲩᲐᲘᲡ ᲛᲪᲝᲓᲜᲔ ᲞᲘᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲛᲐ უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ. (100—93)

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლუშნივინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაკანას გიარები. (100—45)

ი. მურადოვის
ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ
# ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი— 5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყონებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა. (50—28)

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამ-ყვანი

მაკ-ქას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—69)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ
არწრუნის გალლერეაში
(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | ჩაის ყველგან |
|---|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — | 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — | 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — | 1 „ 90 კაპ |
| — — 1 „ 60 „ | — | 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — | 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — | 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—69)

# ᲐᲑᲝᲜᲔᲛᲔᲜᲢᲘ
## ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡᲐ

იმართება მარტო ექვსი წარმოდგენისათვის პირველ იანვრამდის 1882 წ.

ფასი დაკლებულია:

| | | |
|---|---|---|
| ლიტ. და შუა ლოჟ. | 54 მ.—60 მ. | |
| ლოჟ. № 1,2,19,20 | 30 მ.—42 მ. | |
| დანარჩენი ლოჟები | 36 მ.—48 მ. | |
| კრესლო 1 რიგისა | 15 მ.—18 მ. | |
| კრეს. 2 და 3 რიგასა | 10 50 მ. კ. | —12 მ. |
| სკამი მესამე რიგ. | 4 50 | — 6 მ. |

აბონემენტზე ხელის მოწერა შეიძლება 4 ნოემბრამდის.

ქართული თეატრის გამგენი { ვ. აბაშიძე
 კ. მესხი.

# ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფოდნოსი და გასალები თითო 15 კაპ.

10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 პენალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი პორტვეინისა და ხერესის თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლეპიოშკა 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ. (40—9)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ: პაპ-ესინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—45)

## ᲢᲐᲥᲡᲐ

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | — | 1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | — | 1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | — | 1 გირ. | 3 კ. |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | — | 1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | — | 1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | | 1 გირ. | 6½ |
| მეორის „ „ | — | 1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | — | 1 გირ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | — | 1 გირ. | 10 კ. |
| მეორის „ | — | 1 გირ. | 8 კ. |
| სუკი — — | — | 1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | | 1 გირ. | 10 კ. |

ღორის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | — | 1 გირ. | 12 კ. |
| მეორის „ | — | 1 გირ. | 11 კ. |


Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Декабря 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.